055

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

3-4

მარტი-აპრილი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი—1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 380 — მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1954 წლის შედეგებისა და 1955 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ 3
2. ბრძანება № 534 — საქართველოს სსრ დაწყებითს, რვაწლიანსა და საშუალო სკოლებში საგაზაფხულო არდადეგების ჩატარების შესახებ 13
3. ბრძანება № 535 — პირველი რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას" ჩატარების შესახებ 15
4. მასწავლებელთა დროის ბიუჯეტის მოწესრიგების შესახებ 18
5. ბრძანება № 539 — ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მეორე საშუალო სკოლაში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 24
6. ბრძანება № 579 — საქართველოს სსრ განათლების საბინისტროში, ქ. თბილისის სკოლებსა და ქვემდებარე დაწესებულებებში ბრძანებათა და დადგენილებათა შესრულების შედეგების შესახებ . . 27
7. დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტისა . . 33
8. ბრძანება № 610 — ასაკგადაცილებულ მოსწავლეთათვის ცალკე კლასების გახსნის შესახებ 42
9. ბრძანება № 662 — საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში 44
10. ბრძანება № 673 — მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების სკოლებში სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . 50
11. ბრძანება № 679 — გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონების სკოლებში სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 56

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 380

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 8 თებერვალი

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1954 წლის შედეგებისა და 1955 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ.

F 1821

გავეცანი რა საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ საკურსო ღონისძიებათა ხაზით 1954 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგებს აღვნიშნავ, რომ ხსენებულმა ინსტიტუტმა გასულ წელს წარმატებით ჩაატარა დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა დახელოვნების კურსები და საგრძნობლად აამაღლა ლექციებისა და პრაქტიკული მუშაობის ხარისხი. გასულ წელს გახსნილი იყო დახელოვნების კურსების 182 ჯგუფი 5345 მსმენელით (გარდამავალი კურსების ჩათვლით).

კურსების უკეთ ორგანიზაციის მიზნით დროულად ჩატარდა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა: შედგენილ და დამტკიცებულ იქნა სასწავლო გეგმები და პროგრამები, აგრეთვე საჭირო ინსტრუქციები და მითითებანი. კურსები დაკომპლექტდა კვალიფიციური ლექტორებით. შეძენილ იქნა სასწავლო ხელსაწყო-იარაღები და მასალები, განათლების განყოფილებებს დროულად ეცნობა კურსების სახეები, მუშაობის დრო, ადგილი და კონტინგენტი. მტკიცე კონტროლი იყო დაწესებული დახელოვნების კურსების მუშაობაზე.

აღსანიშნავია, რომ განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა გასულ წელს საგრძნობლად გააძლიერეს ზრუნვა სახალხო

განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმისადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო, ბორჯომის, თელავის, ლანჩხუთის, ფოთის, ხაშურის, თერჯოლის, ქუთაისის, სამტრედიის, სიღნაღის, ჭიათურის, გორის, ყვარელის, ცაგერის და სხვა რაიონების განათლების განყოფილებანი.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად დახელოვნების კურსების ორგანიზაციისა და მუშაობის საქმეში ადგილი ჰქონდა არსებით ნაკლოვანებებს:

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა 1954 წელს გახსნა 169 ჯგუფი, ნაცვლად 167-ისა, მან მაინც ვერ უზრუნველყო მსმენელთა კონტინგენტის გეგმის შესრულება (კურსებზე გამოცხადდა 4950 მსმენელი, ნაცვლად 5000-ისა), რაც შედეგია იმისა, რომ, ქ. თბილისის, გარდაბნის, წალკის, ბოგდანოვკის, კაჭრეთის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, დმანისის, გურჯაანის და ზოგიერთი სხვა რაიონის განათლების განყოფილება სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა დახელოვნების კურსებზე გასაგზავნ მუშაკთა შერჩევასა და კურსებზე დროულად მივლინების საქმეს, ამასთან ვერ უზრუნველყო მიცემული კონტინგენტის გეგმის შესრულება.

ადგილი ჰქონდა დახელოვნების კურსებზე გასაგზავნ მუშაკთა არასწორად შერჩევასა და კურსებზე დაგვიანებით მივლინება-გამოცხადების შემთხვევებს, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სახალხო განათლების ზოგიერთმა მუშაკმა წელსაც აარიდა თავი დახელოვნების კურსებზე წასვლას.

დახელოვნების ზოგიერთი კურსების მსმენელები უზრუნველყოფილი არ იყვნენ შესაფერისი სამეცადინო ოთახებით, საცხოვრებელი ბინებითა და საჭირო ინვენტარით; ზოგიერთ კურსებზე სათანადოდ ვერ იქნა მოგვარებული მსმენელთა კვების საკითხი. ცალკეული კურსები არ იყო მთლიანად უზრუნველყოფილი სასწავლო ხელსაწყო-იარაღებითა და საჭირო მასალებით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. გ. ასპინძელაშვილს

ა) 1955 წლის განმავლობაში დახელოვნების კურსების საშუალებით უზუნველყოს სახალხო განათლების 5000 მუშაკის გადამზადება თანდართული განრიგის მიხედვით;

ბ) პოლიტექნიკური სწავლების ამოცანებისა და სკოლის ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე გადასინჯოს და გადაამუშაოს დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმები და პროგრამები და დროულად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად:

გ) მიიღოს საჭირო ზომები დახელოვნების კურსების ლექტორ-მასწავლებელთა შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ლექციების ხარისხის ამაღლებისათვის, მეტი ყურადღება მიაქციოს კურსებზე პრაქტიკული მუშაობის ჩატარებას, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებასა და ექსკურიების მოწყობას;

დ) გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი დახელოვნების კურსების მსმენელთა სამეცადინო ოთახებითა და საცხოვრებელი ბინებით, აგრეთვე საჭირო ინვენტარით, სასწავლო ხელსაწყოიარაღებით და მასალებით უზრუნველყოფისა და კვების საკითხის მოგვარებისათვის;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების კურსების ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეს, დროულად შეიძინოს ამ კურსებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები და მასალები, ამასთან ნება დაერთოს ა/წ 15 თებერვლამდე ჩაატაროს აღნიშნულ კურსებზე ლექტორ-მასწავლებლებად გამოსაყენებელი ამხანაგების 5 დღიანი კურს-სემინარი, წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით;

ვ) დროულად აცნობოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს 1955 წელს მოსაწყობი დახელოვნების კურსების სახეები, მუშაობის დრო და ადგილი, აგრეთვე მათ მიერ კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტი.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სახალხო განათლების მუშაკთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ამასთან საჭირო დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს დახელოვნების კურსების მუშაობის ნაყოფიერად წარმართვის საქმეში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკურსო ღონისძიებათა გეგმის შესრულებას, პირადად შეარჩიონ დახელოვნების კურსებზე მისავლინებელი მასწავლებლები და სახალხო განათლების სხვა მუშაკები და უზრუნველყონ მათი დროულად და უკლებლივ გაგზავნა კურსებზე;

ბ) დახელოვნების კურსებზე არ გაგზავნონ ჩვილბავშვიანი, დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმული, ავადმყოფი, მოხუცებული, სამუშაოდან გასათავისუფლებლად გათვალისწინებული და ის მუშაკები, რომელთაც უკანასკნელ 4 წელში აქვთ დამთავრებული დახელოვნების შესაბამისი სახის კურსები:

გ) ზაფხულის პერიოდში მოწყობილ დახელოვნების კურსებზე გაგზავნილი მასწავლებლები და სახალხო განათლების სხვა მუშაკები, თანახმად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის 5 აპრილის № 312 განმარტებისა, უზრუნველჰყონ კუთვნილი შვებულებით;

ი) დახელოვნების კურსების დაწყებიდან სამი დღის განმავლობაში შეამოწმონ მათ მიერ მივლინებულ მუშაკთა გამოცხადება დახელოვნების კურსებზე. გამოუცხადებელ მუშაკებს დაადონ მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ წინადადებანი პედაგოგიური სამუშაოდან მათი მოხსნის შესახებ;

ე) კონკრეტული დახმარება გაუწიონ მასწავლებელთა და-

ხელოვნების ინსტიტუტს და ქუთაისის ფილიალს მათ ტერიტორიაზე მოწყობილი დახელოვნების კურსების მსმენელების სამეცადინო ოთახებით, საცხოვრებელი ბინებითა და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეში.

4. ნება დაერთოს განათლების განყოფილებათა გამგეებს მუშაობიდან მოწყვეტით მოწყობილ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების კურსებზე მივლინებულ მასწავლებელთა ნაცვლად ადგილებზე დანიშნონ (დროებით) სხვა მასწავლებლები და აუნაზღაურონ მათ ჩატარებული მუშაობის ღირებულება.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და ქუთაისის ფილიალის დაფინანსება მოახდინოს ამ ბრძანებით დამტკიცებულ 1955 წლის საკურსო ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას მიმდინარე წლის 1 მაისამდე გამოუყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს და ქუთაისის ფილიალს დახელოვნების კურსებისათვის საჭირო ინვენტარი და მასალები.

7. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის" რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები დახელოვნების კურსების მუშაობის შესახებ.

8. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას სკოლის დირექტორთა თათბირებზე და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

9. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს ამხ. თ. ზახაშვილს.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 4 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

საქართველოს სსრ მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1955 წლის განმავლობაში

(მუშაობიდან მოწყვეტით)

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდენ.	მსმენელთა კონტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1. ხელგარჯილობის მასწავლებელთა .	5	150	II—V	თბილისი
„ „ „ .	6	180	III—V	ქუთაისი
„ „ „ .	1	30	V—VI	ქლუხორი
„ „ „ .	2	60	III	სოხუმი
2. საბავშვო ბაღის აღმზრდელთა	2	60	V—VI	თბილისი
„ „ „ .	2	60	V—VI	ქუთაისი
„ „ „ .	2	60	V—VI	ბათუმი
3. სასკოლო ინსპექტორების . .	1	30	II	თბილისი
4. ბიოლოგიის მასწავლებელთა .	2	60	II	ქუთაისი
5. საბავშვო სახლების პედმუშაკთა ხელგარჯილობაში დახელოვნების	1	30	IV	კოჯორი
„ „ „ .	1	30	V—VI	ქლუხორი
„ „ „ .	1	30	IX—X	თბილისი
6. ფიზიკისა და ქიმიის ლაბორანტების	1	30	IX	„
„ „ „ .	1	30	IX	ქუთაისი
7. კინოდემონსტრატორთა . .	2	60	IX	თბილისი
8. გეოგრაფიის მასწავლებელთა .	2	60	X	ქუთაისი
9. სკოლის დირექტორების . .	2	60	X—XI	თბილისი
„ „ . . .	2	60	XI	ქუთაისი
„ „ (რუსული ჯგ.)	1	30	X	თბილისი
10. სასწავლო ნაწილის გამგეების	2	60	XI	ქუთაისი
„ „ „	2	60	X—XI	თბილისი
„ „ (რუსული ჯგ.)	1	30	XI	თბილისი
11. განათლების განყოფილებათა გამგეების	1	30	XI	„
12. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა	2	60	XII	ქუთაისი
სულ . . .	45	1350		

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მასწავლებელთა დეხელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1955 წლის განმავლობაში

(მუშაობიდან მოუწყვეტლივ)

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდენ.	მსმენელთა კონტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1. ხელგარჯილობის მასწავლებელთა .	6	180	II—V	თბილისი
„ „ „ .	2	60	III—IV	ბათუმი
„ „ „ .	2	60	III—IV	ქუთაისი
2. IV—VI კლასების არითმეტიკის მასწავლებელთა	1	30	IX—XII	თბილისი
3. ისტორიის მასწავლებელთა . .	1	30	II—V	ქუთაისი
4. არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	1	30	IX—XII	თბილისი
5. რუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	1	30	IX—XI	„
6. ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	1	30	IX—XII	„
სულ . . .	15	450		

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1955 წლის ზაფხულის პერიოდში

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდენ.	მსმენელთა კონტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1. ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	2	60	VI	სურამი
„ „ „	2	60	VI	ბათუმი
„ „ „	6	180	VI	ქუთაისი
2. რუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	2	60	VI	თბილისი
„ „ „	1	30	VI	ქუთაისი
3. სომხური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	2	60	VI	ახალქალაქი
4. აზერბაიჯანული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	1	30	VI	მარნეული
5. ოსური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . .	2	60	VI	სტალინირი
6. ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა	2	60	VI	სურამი
„ „ „	1	30	VI	ბათუმი
„ „ „	5	150	VI	ბორჯომი
7. არარუსული სკოლების დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა	1	30	VI	ქუთაისი
8. სასკოლო ბიბლიოთეკართა . .	2	60	VI—VII	თბილისი
„ „ . .	1	30	VI	ქუთაისი
სულ . . .	30	900		

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ რვაწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1955 წლის ზაფხულის პერიოდში

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდენ.	მსმენელთა კონტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1. ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	5	150	VII	ბორჯომი
„ „ „	6	180	VII	ბათუმი
2. არაქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	2	60	VII	თბილისი
3. არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	3	90	VII	გუდაუთი
„ „ „	5	150	VII	სოხუმი
„ „ „	1	30	VII	ბათუმი
4. რუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	2	60	VII	გუდაუთი
„ „ „	1	30	VII	ბათუმი
5. გერმანული ენის მასწავლებელთა	3	90	VII	თბილისი
„ „ „	2	60	VII	ქუთაისი
6 ინგლისური ენის მასწავლებელთა	2	60	VII	თბილისი
7. ფრანგული ენის მასწავლებელთა	2	60	VII	„
8. ფიზიკის მასწავლებელთა . .	2	50	VII	„
„ „ „	2	60	VII	ქუთაისი
„ „ (რუსული ჯგ.)	1	30	VII	თბილისი
9. ქიმიის მასწავლებელთა . . .	2	60	VII	„
„ „ (რუსული ჯგ.)	1	30	VII	„
10. მათემატიკის მასწავლებელთა	3	90	VII	თეთრიწყარო
„ „	2	60	VII	თელავი
„ „	6	180	VII	ქუთაისი
„ „ (რუსული ჯგ.)	1	30	VII	თელავი
11. გეოგრაფიის მასწავლებელთა	2	60	VII	ბორჯომი
„ „	2	60	VII	ქუთაისი
„ „ (რუსული ჯგ.)	1	30	VII	ბორჯომი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდენ.	მსმენელთა კონტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილის
12. ბიოლოგიის მასწავლებელთა	2	90	VII	ხაშური
„ „	2	60	VII	ქუთაისი
„ „ (რუსული ჯგ)	1	30	VII	ხაშური
13. ისტორიის მასწავლებელთა .	3	90	VII	სურამი
„ „	5	150	VII	ქუთაისი
„ „ (რუსული ჯგ.)	1	30	VII	სურამი
14. ხატვა-ხაზვის მასწავლებელთა	1	30	VII	სურამი
15. ფიზიკური აღზრდის მასწავლებ.	2	60	VI	თბილისი
16. სამხედრო მომზადების მასწავლებელთა	1	30	VI	თბილისი
სულ . . .	77	2300		

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 534

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

24 თებერვალი 1955 წ. ქ. თბილისი

საქართველოს სსრ დაწყებითს, რვაწლიანსა და საშუალო სკოლებში საგაზაფხულო არდადეგების ჩატარების შესახებ.

1. საქართველოს სსრ დაწყებითს, რვაწლიანსა და საშუალო სკოლებში საგაზაფხულო არდადეგები ჩატარდეს 1955 წლის 19-დან 31 მარტამდე. სკოლებში მეცადინეობა შეწყდეს შაბათს, 19 მარტს, გაკვეთილების შემდეგ და განახლდეს 1 აპრილს, პარასკევს.

2. 21 მარტს ყველა სკოლაში ჩატარდეს პედაგოგიური საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგები სასწავლო წლის მესამე მეოთხედში; დაისახოს ღონისძიებანი მოსწავლეთა წარმატების შემდგომი ამაღლებისა და დისციპლინის განსამტკიცებლად; გადასაყვანი, გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების მომზადებულად ჩატარებისა და სასწავლო წლის მაღალხარისხოვნად დამთავრების უზრუნველსაყოფად.

3. გასული წლის XI კლასის მოსწავლეები, რომელთაც შარშან ვერ მიიღეს სიმწიფის ატესტატი და უფლება აქვთ წელს ჩააბარონ გამოცდები სიმწიფის ატესტატზე, სკოლების დირექტორებმა წინასწარ გააფრთხილონ და უზრუნველჰყონ მათი გამოცხადება არდადეგების პერიოდში გამოცდების ჩა-

საბარებლად იმ საგანში, რომელშიც მათ არადამაკმაყოფილებელი ნიშანი ჰქონდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა უზრუნველჰყონ მოსწავლეთა გონივრული დასვენებისა და კულტურული გართობის ორგანიზაცია არდადეგების პერიოდში.

5. არდადეგების პერიოდში, სკოლის ექიმისა და ადგილობრივი სამედიცინო პერსონალის დახმარებით, ჩატარდეს სასკოლო ოთახების დეზინფექცია და სასკოლო შენობებისა და სკოლის კარმიდამოს დასუფთავება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 535

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 26 თებერვალი

პირველი რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ ჩატარების შესახებ.

1. პირველი რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ბურჭულაძე მარიამი — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე — თავმჯდომარე.

2. საყვარელიძე გიორგი — საქარველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი — მოადგილე.

3. ქაჯაია ომარი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე.

4. უკლება კონსტანტინე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექციის უფროსი.

5. ცაგარეიშვილი შალვა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი.

6. ჩუბინიძე შალვა — პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი.

7. დარსალია ქეთევან — საქართველოს სსრ განთლების სამინისტროს ინსპექტორი.

8. ბერეჟიანი სალომე — მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტის მეთოდისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ჯიქიძე თამარი — ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის გამგე.

10. მდინარაძე ლაზარე — ქ. თბილისის 65-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

11. გოგიჩაიშვილი ბენიამინ — ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორის მოადგილე — მდივანი.

2. საორგანიზაციო კომიტეტმა შეადგინოს სამუშაო გეგმა და უზრუნველყოს კონკურსის წარმატებით ჩატარება.

3. ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა:

ა) ქმედითი დახმარება გაუწიოს ბიოლოგიის მასწავლებლებს და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელებს კონკურსის ჩატარების საქმეში;

ბ) მიავლინოს სპეციალისტები რაიონებსა და ქალაქებში კონკურსის მზადების საქმეში სკოლებისათვის ოპერატიული დახმარების აღმოსაჩენად.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააცნონ პირველი რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების პირობები და ბრძანება საშუალო და რვაწლიანი სკოლების მასწავლებლებს სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და უზრუნველყონ კონკურსში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა;

ბ) კონკურსის ჩატარებისათვის განუხრელად იხელმძღვანელონ დებულებით — „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“.

5. კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ შეჯამებული სარაიონო, საქალაქო და საოლქო გამოფენები მოეწყოს 1955 წლის 20 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, ხოლო რესპუბლიკური გამოფენა — 1955 წლის 1 ნოემბრიდან, 15 ნოემბრამდე.

6. განათლების ~~საბინისტროს~~ საგეგმო-საფინანსო სამმართველომ 1955 წელს გაითვალისწინოს ნორჩ ნატურალისტთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური სადგურის ბიუჯეტში კონკურსის ჩატარებისათვის საჭირო თანხა.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ კონკურსის საჭიროებისათვის გამოუყოს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურს 200 კგ. ქაღალდი.

8. „სახალხო განათლების" რედაქციამ გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად გააშუქოს კონკურსის მიმდინარეობა.

9. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ უხელმძღვანელოს კონკურსის ჩატარებისა და მომზადების საქმეს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს

დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის საოლქო, რაიონული და საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეებს

მასწავლებლის დროის ბიუჯეტის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ბევრი სკოლის ხელმძღვანელი და პროფესიული ორგანიზაციები სათანადო მზრუნველობით არ ეკიდებიან მასწავლებლის შრომის განაწილებას, ტვირთავენ მას ზედმეტი სხდომებით, თათბირებით, მრავალრიცხოვანი ანგარიშების, თუ გეგმების შედგენით, კანცელარული ხასიათის დავალებათა შესრულებით. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ვერ უზრუნველყვეს მასწავლებელთა შრომის ორგანიზაციის საკითხებზე სათანადო ხელმძღვანელობა, არ მიიღეს დროული ზომები მათი გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად. ყველაფერი ეს ხელს უშლის მასწავლებელს სრულყოფილად ემზადებოდეს გაკვეთილისათვის, სისტემატურად იმაღლებდეს კვალიფიკაციას, იდეურ-პოლიტიკურ დონეს, ეცნობოდეს მეთოდური და მხატვრული ლიტერატურის ახალ ნიმუშებს, ესწრებოდეს სპექტაკლებს, კინო-სურათებს და სხვ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევიან სწავლებისა და აღზრდის

პასუხსაგები ამოცანების წარმატებით განხორციელების მიზნით მიღებულ იქნეს ზომები მასწავლებლის დროის ბიუჯეტის მოწესრიგებისა და მისთვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

ამისათვის აუცილებელია:

1. მაქსიმალურად შემცირდეს მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა გეგმებისა და ანგარიშების რაოდენობა; სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული მხოლოდ შემდეგი დოკუმენტების შედგენა:

ა) მასწავლებლებისათვის: გაკვეთილის გეგმისა და სასწავლო წლის ბოლოსათვის პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიშის შედგენა.

შენიშვნა: მიმდინარე 1954/55 სასწავლო წელს ძალაში რჩება მასწავლებლის მიერ საგნის კალენდარული განრიგის შედგენის აქამდე არსებული წესი;

ბ) კლასის ხელმძღვანელებისათვის: მეოთხედური ან ნახევარწლიური სამუშაო გეგმების, სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ მოკლე ანგარიშის შედგენა და თავიანთი კლასების მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოება.

შენიშვნა: აიკრძალოს კლასის ხელმძღვანელებისათვის სწავლის ქირის აკრეფისა და აგრეთვე სხვა ისეთი სამუშაოების დავალება, რომლებიც მათ უშუალო მოვალეობას არ შეადგენს.

2. შემცირდეს მეთოდურ და სხვა საკითხებზე სხდომებისა და კრებების რიცხვი. ამასთან დაკავშირებით:

ა) პედაგოგიური საბჭოს სხდომები ჩატარდეს მეოთხედში ერთხელ, აგრეთვე სასწავლო წლის დაწყების წინ და სასწავლო წლის დასასრულს;

ბ) სოფლის სკოლების V—XI კლასების მასწავლებელთა რაიონული და საუბნო საგნობრივი კომისიების, აგრეთვე I—IV კლასების მასწავლებელთა საუბნო-მეთოდური გაერთიანებების სხდომები ჩატარდეს არაუმეტეს სამისა წელიწადში: სასწავლო წლის დაწყების წინ, საზამთრო და საგაზაფხულო არდადეგების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე წესი გავრცელდეს საქალაქო და რაიონული (ქალაქებში, სადაც რაიონული დაყოფაა) მეთოდური გაერთიანებებისა და საგნობრივი კომისიების მუშაობაზე; I—VI კლასების შინასასკოლო მეთოდური გაერთიანებებისა და V—XI კლასების მასწავლებელთა საგნობრივი მეთოდკომისიების სხდომები ჩატარდეს არაუმეტეს ორისა მეოთხედში. მასწავლებელთა და ხელოვნების ინსტიტუტისა და მისი ფილიალის სასწავლო-მეთოდური კაბინეტების ღონისძიებებზე (გარდა სავალდებულო კურსებისა), რაიონული (საქალაქო) პედაგოგიური კაბინეტის მიერ მოწყობილ ლექციებსა და ღია გაკვეთილებზე დასწრება ხდებოდეს მასწავლებელთა შეხედულებით:

გ) კლასის ხელმძღვანელთა სემინარები სკოლაში ჩატარდეს არაუმეტეს ერთისა მოეთხედში, ერთი შემადგენლობისათვის;

დ) მშობელთა კრებები მოეწყოს დირექტორისა და კლასის ხელმძღვანელების შეხედულებით;

ე) მოსწავლეთა საერთო სასკოლო კრებები (კონფერენციები) მოეწყოს ნახევარ წელიწადში ერთხელ, საკლასო კრებები — მეოთხედში ერთხელ;

3) საერთო სასკოლო ღონისძიებებზე, რომელთაც ატარებენ კომკავშირული, პიონერული და მოსწავლეთა ორგანიზაციები, დირექტორი, ყოველთვის გამოჰყოფს მასწავლებლებს, როგორც პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლებს, რომლებიც პასუხს აგებენ ჩატარებულ ღონისძიებაზე;

ზ) საწარმოო თათბირები და საერთო პროფკავშირული კრებები ჩატარდეს პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის შეხედულებით პროფკავშირული ორგანოების მიერ ამ საკითხზე დაშვებულ მითითებათა შესაბამისად.

3. მასწავლებლის დროის უფრო ეკონომიურად და რაციონალურად გამოყენების მიზნით დადგინდეს, რომ პედაგოგიური საბჭოების, მეთოდური გაერთიანებების სხდომებისა და მშობელთა კრებების ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ აღემატებოდეს 2—3 საათს, კლასგარეშე საწრეო მეცადინეობების, მოსწავლეთა სხდომებისა და კრებებისა კი 45 წუთიდან 1,5 საათს, მოსწავლეთა ასაკის მიხედვით.

4. კვირა დღეს კინოში, თეატრში, გამოფენებზე მოსწავლეთა კოლექტიური დასწრებისა და ექსკურსიების ჩატარების საქმეში ჩაბმულ იქნენ პიონერხელმძღვანელები (სამაგიეროდ მათ დასვენებისათვის მიეცეთ სხვა სამუშაო დღე).

5. სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა ჩატარდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული ინსტრუქციის ზუსტი შესაბამისობით. განათლების ორგანოებს, სკოლების დირექტორებს (გამგეებს) ნება მიეცეთ ადგილობრივი საბჭოების დასახმარებლად ბავშვების აღრიცხვაში მასწავლებლები ჩააბან არდადეგების დროს და, თუ აუცილებლობა მოითხოვს, სასწავლო დღეებში, გაკვეთილებიდან თავისუფალ დროს.

6. მოწესრიგდეს მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვა. მასწავლებელთა შეთავსებით მუშაობა დაშვებულ იქნეს მხოლოდ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგის ნებართვით.

7. მოწესრიგდეს მასწავლებელთა მორიგეობა სკოლაში:

ა) სკოლაში მორიგეობა მასწავლებელთა შორის ძირითადად განაწილდეს მათი სასწავლო დატვირთვის შესაბამისად, იმ დღეებში, როცა ცხრილით გაკვეთილების მეტი რაოდენობა აქვთ. გაკვეთილების ცხრილის შედგენისას თავიდან აცილებულ იქნეს ეგრეთწოდებული „ფანჯრები“;

ბ) მასწავლებელთა მორიგეობა დაიწყოს 30 წუთით ადრე გაკვეთილების დაწყებამდე და დამთავრდეს არა უგვიანეს 20 წუთისა იმ ცვლის დამთავრებიდან, რომელშიაც მასწავლებელს გაკვეთილები აქვს.

8. „დაუსწრებელი პედაგოგიური განათლების სისტემის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ არსებული მითითებების შესაბამისად დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმული მასწავლებლები განთავისუფლდნენ არასასწავლო სამუშაოსაგან, დასვენების დღის გარდა, კვირაში 4 საღამოს.

9. მასწავლებლებს, სკოლების ხელმძღვანელებს კატეგორიულად აეკრძალოთ საზოგადოებრივ დავალებათა შესრუ-

ლება სასწავლო დროს. ამ დროს საზოგადოებრივი დავალების შესრულებისათვის გამოძახების ყოველი შემთხვევა დაუყოვნებლივ ეცნობოს შესაბამის ზემდგომ ორგანიზაციას.

10. მოწესრიგდეს დირექტორების (გამგეების), სასწავლო ნაწილის გამგეების თათბირები, სემინარები, და პრაქტიკუმები. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებამ გეგმის მიხედვით ჩაატაროს თვეში არაუმეტეს ერთი ღონისძიებისა, რაც წინასწარ საფუძვლიანად უნდა მომზადდეს და ხუთი დღით ადრე ეცნობოს ღონისძიების მონაწილეებს.

11. ორცვლიანი მეცადინეობისას რვაწლიანსა და საშუალო სკოლებში დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის სკოლაში აუცილებელი ყოფნის დრო განისაზღვროს გრაფიკით, იმ ანგარიშით, რომ მთელი სასწავლო დღის განმავლობაში ერთერთი მათგანი აუცილებლად იყოს სკოლაში.

12. შემცირდეს სკოლების დირექტორებისა (გამგეების) და სასწავლო ნაწილის გამგეების გეგმებისა და ანგარიშების რაოდენობა. აუცილებლად ჩაითვალოს:

ა) სკოლის წლიური ან ნახევარწლიური სამუშაო გეგმის შედგენა;

ბ) სტატისტიკური აღრიცხვით დადგენილი და სკოლის მუშაობის შედეგების შესახებ წერილობითი წლიური ანგარიშის შედგენა.

13. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამ წერილში მოხსენებულ საკითხებზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქვემოჩამოთვლილი დოკუმენტების სათანადო ადგილები:

1. 1949 წლის 9 თებერვლის ბრძანება № 188 „საზოგადოებრივი და სხვა არასასწავლო მუშაობით მოსწავლეთა გადატვირთვის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“ (იხ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული, № 2—3, 1949 წ.);

2. დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 1951 წლის 5 ივნისის დებულება (იხ. იგივე კრებული, № 9—10, 1951 წ.);

3. დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებთან ერსებული მშობელთა კომიტეტის 1951 წლის 5 ივნისის დებულება (იხ. იგივე კრებული, № 9—10, 1951 წ.);

4. 1951 წლის 10 ივლისის ინსტრუქცია სასკოლო მუშაობის გეგმიანობის შესახებ (იხ. იგივე კრებული, № 9—10, 1951 წ.);

5. 1952 წლის 1 ივლისის ბრძანება № 1581 „სკოლებში დისციპლინის განმტკიცების შესახებ", (იხ. კრ. № 6, 1952 წ.);

6. 1953 წლის 8 ივლისის დებულება სკოლებში მეთოდური მუშაობის შესახებ (იხ. იგივე კრებული, № 9—10, 1953 წ.);

7. 1953 წლის 8 ივლისის დებულება კლასის ხელმძღვანელის მუშაობის შესახებ (იხ. იგივე კრებული, № 9—10, 1953 წ.).

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი
გ. ჯიბლაძე

დაწყებითი და საშუალო
სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური
კომიტეტის თავმჯდომარე
ლ. მაღლაფერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 539

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მეორე საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ქ. თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მეორე საშუალო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში ერთგვარი წარმატების მიუხედავად, სერიოზული ნაკლოვანებები გვხვდება.

ზოგიერთი მასწავლებელი არ ცდილობს აიმაღლოს კვალიფიკაცია და სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილისათვის.

მასწ. ს. ქორჩილავას დაგეგმილი აქვს ისეთი საკითხების სწავლება, რომლებიც სრულებით არაა გათვალისწინებული პროგრამით. ქორჩილავა ჯეროვნად ვერ ფლობს საგანს და არ ემზადება თითოეული გაკვეთილისათვის.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა, მასწავლებლები ახალი მასალის ახსნის დროს არ იყენებენ მათემატიკის სწავლების დადგენილ მეთოდებს, ყურადღებას არ აქცევენ საშინაო დავალებათა მოზომილად მიცემისა და მისი შემოწმების საქმეს, არ ასწორებენ სასკოლო-საშინაო სამუშაოებს, უპასუხისმგებლოდ ატარებენ საკონტროლო წერებს. საკონტროლო ნამუშევრებს და მოსწავლეთა ზეპირ პასუხებს აფასებენ ლიბერალურად.

სუსტია შინასასკოლო კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე. თვით სკოლის დირექტორი შ. გულორდავა, რომელიც

ისტორიას ასწავლის, შემოწმების დღეს მოუმზადებელი გამოცხადდა გაკვეთილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალია მოსწავლეთა მოსწრება, პირველ მეოთხედში 317 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 90, ხოლო მეორე მეოთხედში 305-დან —76, სკოლაში მხოლოდ ორი ფრიადოსანი მოსწავლეა; მეორეწლიანი მოსწავლეა 33, რომელთა შორის მუშაობა ძალზე ცუდადაა დაყენებული.

დიდია მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. სასწავლო წლის პირველ ნახევარში გაცდენილია 13.168 საათი, აქედან არასაპატიო მიზეზით —5691. ამასთან დადასტურებულია, რომ ცალკეული კლასის ხელმძღვანელები არასწორ ცნობებს აძლევენ დირექციას ამ საკითხზე და ხელოვნურად ამცირებენ გაცდენილი საათების რაოდენობას.

სკოლაში არ იცავენ მოსწავლეთა ჩარიცხვის დადგენილ წესს. XI კლასის მთელი რიგი მოსწავლეების პირად საქმეში არაა 8 კლასის დამთავრების მოწმობები.

სკოლა უზრუნველყოფილი არ არის გათბობა-განათებით; ელექტროდენის გამოთიშვის შემთხვევისათვის მომარაგებული არა აქვთ საკმარისი რაოდენობის ნავთის ლამპები.

ცუდად მუშაობს სკოლის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკარ ხარებოვს წარმოდგენა არა აქვს საბიბლიოთეკო მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მეორე საშუალო სკოლის დირექციამ:

ა) მკვეთრად გააუმჯობესოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში, მიაღწიოს, რომ სკოლის თითოეული მუშაკი სრული პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს თავის მოვალეობის შესრულებას; უზრუნველყოს ყოველი გაკვეთილის მაღალხარისხოვნად ჩატარება და მოსწავლეთა ცოდნის დონის არსებითად ამაღლება;

ბ) გააძლიეროს მოსწავლეთა წარმატების აღრიცხვის საქმისადმი კონტროლი და ხელმძღვანელობა. ამ საკითხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითების ზუსტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვით მიაღწიოს ლიბერალიზმისა და ფორმალიზმის ყოველ-
გვარი გამოვლინების აღმოფხვრას;

გ) გააუმჯობესოს მეთოდური მუშაობა; უზრუნველყოს
პედაგოგიური საბჭოს სხდომების, მასწავლებელთა თათბირე-
ბის, მეთოდური კომისიების სხდომებისა და ღია გაკვეთილების
მომზადებულად და მაღალ დონეზე ჩატარება;

დ) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებით
და წარმოება-დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირის დამყარე-
ბით მიაღწიოს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო
მიზეზით გაცდენის აღმოფხვრას;

ე) მიიღოს საჭირო ზომები სკოლის მატერიალურ-ტექნი-
კური ბაზის განმტკიცებისათვის. უზრუნველყოს გაკვეთილების
ნორმალურად ჩატარებისათვის სათანადო პირობების შექმნა;

ვ) ზუსტად დაიცვას საქართველოს სსრ განათლების სამი-
ნისტროს მითითება „მუშა-ახალგაზრდობის სკოლებში მო-
წავლეთა მიღების შესახებ".

2. ლენინის სახელობის რაიონის სახალხო განათლების
განყოფილებამ:

ა) მოაწესრიგოს საკითხი იმგვარად, რომ მუშა-ახალგაზრდო-
ბის მეორე საშუალო სკოლა სარგებლობდეს მე-12 საშუალო
სკოლის სასწავლო კაბინეტებით;

ბ) გაათავისუფლოს სამუშაოდან მუშა-ახალგაზრდობის
მეორე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკარი ხარებოვი და შე-
არჩიოს ამ სამუშაოზე საქმის მცოდნე და გამოცდილების
მქონე პირი;

გ) შეისწავლოს ისტორიის მასწავლებელ ს. ქორჩილავას
მუშაობა და მიიღოს სათანადო ზომები.

3. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკ-
მაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და სკოლაში მოსწავლეთა
ჩარიცხვის საქმეში დამახინჯების დაშვებისათვის თბილისის
მუშა-ახალგაზრდობის მეორე საშუალო სკოლის დირექტორს
ამხ. შ. გულორდავას გამოეცხადოს საყვედური.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 579

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 3 მარტი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში, ქ. თბილისის სკოლებსა და ქვემდებარე დაწესებულებებში ბრძანებათა და დადგენილებათა შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1954 წლის განმავლობაში გამოცემული ბრძანებებისა და კოლეგიის დადგენილებათა შესრულების საქმე ერთგვარად გაუმჯობესდა, როგორც განათლების სამინისტროს აპარატის ხაზით, ისე ქვემდებარე დაწესებულებებში; ზოგიერთი სამმართველო — განყოფილებების უფროსების მიერ დაწესებულია კონტროლი ამ ბრძანებებისა და დადგენილებების შესრულებაზე.

მიუხედავად ამისა, განათლების სამინისტროს და ქვემდებარე დაწესებულებებს ამ საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები.

სამინისტროს მუშაკები, რომლებიც ამოწმებენ რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილების თუ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ბრძანებათა და დადგენილებათა შესრულების საქმეს.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებისა და ქ. თბილისის რაიონების განათლების განყოფილებათა მიერ არ არის დაწესებული საჭირო კონტროლი განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და კოლეგიის დადგენილებათა შესრულებაზე.

ქ. თბილისის რაიონებისა და ქ. რუსთავის განათლების განყოფილებები სამინისტროს ბრძანებებს იხილავენ სკოლების დირექტორების თათბირებზე, მაგრამ სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე ეს ბრძანებები განხილული არ არის. ასე, მაგალითად 1954 წლის 1 თებერვლის № 249 ბრძანება „რესპუბლიკის სკოლებში ფიზიკისა და ქიმიის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ“, 1954 წლის 25 თებერვლის № 506 ბრძანება „სკოლებში ბიოლოგიისა და ქიმიის სწავლების მდგომარეობის შესახებ“, 1954 წლის 29 აპრილის № 1328 ბრძანება „ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, 1954 წლის 26 ივლისის № 3105 ბრძანება „ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებული ზოგიერთი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის შესახებ“ და სხვ. არ არის განხილული ქ. თბილისის მე-4, მე-5, 24-ე, 55-ე, მე-60, 71-ე და ქ. რუსთავის № 3, № 10 საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

განათლების სამინისტროს 1954 წლის 23 აპრილის მითითებანი „მოსწავლეთა ყოფაქცევის ჟურნალის“ წარმოების შესახებ ქ. თბილისის და ქ. რუსთავის ზოგიერთი საშუალო სკოლის მიერ არ არის შესრულებული.

ქ. თბილისის მე-4, მე-5, მე-7, მე-18, 24-ე, მე-60 და ქ. რუსთავის № 1, № 3, № 10 საშუალო სკოლებს არ მიუღიათ 1954 წ. ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულის ზოგიერთი ნომერი. ასევე, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ზოგიერთ სკოლას არ მიუღია 1954 წლის 22—23 თებერვალს ჩატარებული განათლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მიერ მიღებული ღონისძიებანი, თუმცა განათლების განყოფილებას აღნიშნული დოკუმენტი თავის დროზე აქვს მიღებული. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექციას 1953 წლის 30/XII № 5273 ბრძანებით გათვალისწინებული ზოგიერთი დავალება (მეთოდური წერილების სერიების, მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის შესახებ მეთოდური კრებულის, აგრეთვე მასწავლებელთათვის დამხმარე

მეთოდური წერილების შედგენა რუსული ენის სწავლების შესახებ აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ა/ო სკოლებში არ შეუსრულებია.

შემოწმებით დადასტურდა აგრეთვე, რომ „საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებების მიერ დავალებათა შესრულებისა და საანგარიშო მასალების წარდგენის საქმის მოწესრიგების შესახებ“ 1954 წლის 24 ოქტომბრის № 4583 ბრძანების შესრულება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. რიგი განათლების განყოფილების გამგეები თავის დროზე არ ასრულებენ დავალებებს, განათლების სამინისტროში არ გზავნიან საანგარიშო მასალებს, ხოლო სამმართველო-განყოფილების უფროსები არ ღებულობენ სათანადო ზომებს იმ განათლების განყოფილებათა გამგეების მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ საანგარიშო მასალების წარმოდგენის დადგენილ ვადებს. ასე, მაგალითად: ადიგენის, წულუკიძის, ხაშურის, ქლუხორის, ახალციხის და გაგრის რაიონის განათლების განყოფილების გამგეებს დღემდე არ წარმოუდგენიათ ცნობები მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ; აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს 1955 წლის 1 იანვრისათვის არ გადმოუგზავნია ფორმა № 8-ა, აგრეთვე ფორმა № 86—78, საბავშვო ბაღების წლიური ანგარიშები, ფორმა № 81, ფორმა № 84 და სკოლის გარეშე მუშაობის საბავშვო დაწესებულებათა წლიური ანგარიშები. მარნეულისა და ლაგოდეხის რაიონების განათლების განყოფილებებს არ გადმოუგზავნიათ ფორმა № 84, ხოლო ქ. გორის, ხობის და ლაგოდეხის რაიონების განათლების განყოფილებებს ფორმა № 81.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსებს:

ა) კოლეგიაზე წარმოდგენილი ბრძანებების ან სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტის პროექტში დაუყოვნებლივ შეიტანონ საკითხის განხილვის დროს მიღებული შესწორება-დამატებები და გადასცენ დასაბეჭდად (ქართულ-რუსულ ენებზე) სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) თვალყური ადევნონ ბრძანების, ინსტრუქციის და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტის, აგრეთვე ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული სტატისტიკური ფორმებისა და ინსტრუქციების ადგილებზე დაუგვიანებლივ გაგზავნის საქმეს, ხოლო საჭირო შემთხვევაში მიიღონ სათანადო ზომები;

გ) სისტემატური, ზუსტი კონტროლი დააწესონ ქვემდებარე დაწესებულებებზე ბრძანებათა და განკარგულებათა შესრულების საქმეში; დადგენილების ვადების დარღვევის ან დავალების ცუდად შესრულების შემთხვევაში მიიღონ საჭირო ზომები.

2. დაევალოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებას მიიღოს გადამჭრელი ზომები იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა დროულად დაბეჭდვა და ადგილებზე დანიშნულებისამებრ დაგზავნა.

3. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს:

ა) ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული დადგენილებები, ბრძანებები, ინსტრუქციები, განკარგულებები და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები დაუგვიანებლად დაიყვანონ სათანადო ქვემდებარე დაწესებულებამდე (სკოლამდე, საბავშვო ბაღამდე, სკოლის გარეშე დაწესებულებამდე და სხვა) სათანადო განმარტებებით; დააწესონ მკაცრი კონტროლი მათი ვადაზე და მაღალხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულების უზრუნველსაყოფად;

ბ) ადგილებიდან მიღებული მასალები გადაამუშაონ თანახმად მითითებისა და უზრუნველყონ მოთხოვნილი სახით დადგენილ ვადაზე მათი წარდგენა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში.

4. დაევალოს სკოლის დირექტორებს (გამგეებს) და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების დირექტორებს გულდასმით განიხილონ ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული თვითეული ბრძანება, ინსტრუქცია, სტატისტიკური ფორმა და-

წესებულების იმ მუშაკებთან ერთად, რომელთაც მათი შესრულება შეეხება; შესასრულებელი საკითხები შეიტანონ თავიანთ სამუშაო გეგმაში და უზრუნველყონ მათი ვადაზე შესრულება.

5. იმის გამო, რომ ადიგენის რაიონის განათლების განყოფილების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, ვავალებ მინისტრის თანაშემწეს ამხ. დ. დუდუჩავას ა/წ 15 მარტამდე ადგილზე შეისწავლოს განათლების განყოფილების მუშაობა და მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი წარმოუდგინოს კოლეგიას დასამტკიცებლად.

6. გაფრთხილებულ იქნან ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები, რომ განათლების სამინისტროს ბრძანებების, განკარგულებებისა და ინსტრუქციების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ისევე, როგორც სტატისტიკური მასალების დადგენილ ვადაზე წარმოუდგენლობისათვის დამნაშავეებს დაედებათ მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი.

7. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვავალებ ჩემს თანაშემწეს ამხ. დუდუჩავას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 18 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ბ. ჯიბლაძე
1954 წელი, 12 ნოემბერი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის ორგანიზაცია და ამოცანები

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი არსდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან და წარმოადგენს მეთოდურ დაწესებულებას. ის აერთიანებს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის, მოზრდილთა და დაუსწრებელთა ყველა სკოლას. მეთოდკაბინეტი ხელმძღვანელობს აღნიშნული ტიპის სკოლების მასწავლებელთა შორის მეთოდურ მუშაობას, ექვემდებარება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და მუშაობს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების ხელმძღვანელობით, განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული კვარტალური გეგმების მიხედვით.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მუშაობის შინაარსი და ფორმები

§ 1

1. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი აწარმოებს:

ა) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის, მოზრდილთა და დაუსწრებელთა სკოლებისათვის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენა-გადამუშავებას;

ბ) წერითი მუშაობის სახეებისა და რაოდენობის დადგენას მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებაში შემავალი ყველა სახის სკოლებისათვის მშობლიურ ენასა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში;

გ) მეთოდურ მითითებათა შედგენას აღნიშნული ტიპის სკოლებისათვის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის მიერ სკოლის წინაშე დასმულ ამოცანათა განსახორციელებლად;

დ) სისტემატურ მუშაობას მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური და იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად;

ე) სკოლის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა მუშაობის შესწავლას და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებას;

ვ) სათანადო გადამუშავების შემდეგ მეთოდური მასალებისა და აგრეთვე ცალკეული გამოკვლევების შედეგების სკოლებისათვის დაგზავნას.

§ 2

ხელმძღვანელობს ქალაქებისა და რაიონების პედაგოგიური კაბინეტების მუშაობას მუშა ახალგაზრდობის, მოზრდილთა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის მეთოდური დახმარების გაწევის საქმეში.

§ 3

მეთოდკაბინეტი შეისწავლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში, შედეგებს წარუდგენს განსახილველად განათლების სამინისტროს კოლეგიას.

§ 4

სკოლის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა მუშაობის შესწავლას კაბინეტი ახორციელებს:

ა) დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის მიერ ჩატარებული მუშაობის გათვალისწინებით;

ბ) გაკვეთილებზე კაბინეტის მეთოდისტთა დასწრებით;

გ) ქალაქებისა და რაიონების პედკაბინეტის გამგეების, მე-

თოდისტებისა და ინსპექტორების მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზის საშუალებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მოსწავლეთა მიერ შესრულებული საშინაო, საკლასო და საკონტროლო ნამუშევრების ანალიზით.

§ 5

მეთოდკაბინეტი მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების მიზნით:

ა)ადგენს მეთოდურ წერილებსა და კრებულებს;

ბ) აწყობს გამოცდილი მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე დამწყებ მასწავლებელთა დასწრებას;

გ) მასწავლებელთა სარაიონო, საქალაქო და ზონალურ თათბირებზე აწყობს მოხსენებათა წაკითხვას მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებათა შესახებ:

დ) რესპუბლიკის სკოლებს უგზავნის ცალკეული სკოლების შესახებ გამოკვლევის შედეგებს, რომლებსაც თან ურთავს საუკეთესო მასწავლებელთა გამოცდილების აღწერას თავის შენიშვნებითა და მითითებებით;

ე) იწვევს ლექტორებს პედაგოგიურ დაწესებულებათა საუკეთესო მუშაკებიდან სხვადასხვა მეთოდურ-პედაგოგიურ საკითხებზე ლექციების, საუბრებისა და მოხსენებების ჩასატარებლად;

3) ატარებს ღონისძიებებს სკოლების დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად; აწყობს მათ შორის გამოცდილების გაზიარებას, სემინარებს, ინდივიდუალურ კონსულტაციებს და სხვა;

ზ) აგზავნის თავის მუშაკებს სათანადო მეთოდური დახმარების აღმოსაჩენად;

თ) აწყობს მუშა ახალგაზრდობის, მოზრდილთა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა ზონალურ თათბირებს, ქალაქებისა და რაიონების პედკაბინეტის გამგეებთან და მეთოდისტებთან ერთად;

ი) აწყობს მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე სახელმძღვანელო მასალებისა და სასკოლო დოკუმენტების (სკოლის წლიური და მეოთხედური, დირექტორისა და სასწავ-

ლო ნაწილის გამგის, კლასის ხელმძღვანელთა, საგნობრივი მეთოდკომისიების და სხვ. სახის გეგმებს, ცალკეული გაკვეთილების ჩანაწერებს, მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშებს და სხვა) გამოფენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 6

სკოლის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეთოდური ცოდნის დონის ასამაღლებლად მეთოდკაბინეტი:

ა) დასაბეჭდად ამზადებს სასწავლო მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელოებს და საინტერესო მეთოდურ მასალებს. ამ მიზნით სდებს ხელშეკრულებებს ავტორებთან, რეცენზენტებთან და რედაქტორებთან;

ბ) აწარმოებს ანგარიშსწორებას ავტორებთან, რეცენზენტებთან და რედაქტორებთან, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციებთან მათ მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის იმ სასწავლო-მეთოდური ხასიათის მასალების გამოცემასთან დაკავშირებით, რაც დამზადებულ იქნება მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მიერ;

გ) უშუალო კავშირში იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან.

§ 7

კაბინეტის მეთოდისტები მათ მიერ შედგენილ კვარტალურ გეგმებს დასამტკიცებლად წარუდგენენ მეთოდკაბინეტის დირექტორს.

§ 8

ყოველი კვარტალის ბოლოს ჩატარებული მუშაობის შესახებ მეთოდისტები უდგენენ ანგარიშს კაბინეტის დირექტორს, რომელიც ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებას.

III

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის შტატი და ხარჯთაღრიცხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 9

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის სათავეში დგას დირექტორი, რომელიც შეირჩევა სკოლის საუკეთესო მუშაკთაგან და ინიშნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

რესპუბლიკურ მეთოდკაბინეტს ჰყავს:

ა) ხუთი მეთოდისტი, რომელთაც მოეთხოვებათ უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედმუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წლისა. მეთოდისტებს, მეთოდკაბინეტის წარდგენით, ნიშნავს განათლების სამინისტრო;

ბ) მდივან-მოანგარიშე, რომელსაც ნიშნავს კაბინეტის დირექტორი;

§ 10

მეთოდკაბინეტის დირექტორი პასუხისმგებელია კაბინეტის მთელ პედაგოგიურ-მეთოდურ მუშაობასა და მის მატერიალურ-ფინანსიურ მდგომარეობაზე.

§ 11

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკურ მეთოდკაბინეტის დირექტორს ევალება:

ა) კაბინეტის მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობა ერთმმართველობის საფუძველზე;

ბ) კაბინეტის პედაგოგიურ-მეთოდური და მატერიალურ-ფინანსიური მუშაობის დაგეგმვა და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმების განხორციელება;

გ) კონტროლის გაწევა კაბინეტის სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) კაბინეტის მიერ დაშვებული ყველა სასწავლო-მეთოდური მასალის განხილვა-დამტკიცება და ზომების მიღება მათ გამოსაქვეყნებლად;

ე) წინადადებათა წარდგენა კაბინეტის თანამშრომელთა სამუშაოზე აყვანისა ან მათი განთავისუფლების შესახებ;

ვ)თანამშრომელთა მუშაობის მაღალი ნაყოფიერებისა და სათანადო დისციპლინის უზრუნველყოფა.

IV

მეთოდკაბინეტის მოწყობილობა

§ 12

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი მთელი თავისი მოწყობილობით უზრუნველყოფს, როგორც თვით კაბინეტის თანამშრომლების, ისე მასწავლებელთა სამუშაო პირობების შექმნას.

§ 13

რესპუბლიკურ მეთოდკაბინეტთან არსებობს ბიბლიოთეკა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, პედაგოგიურ-მეთოდური, მეცნიერულ-პოპულარული და მხატვრული ლიტერატურის განყოფილებებით.

§ 14

რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი იმყოფება რესპუბლიკურ ბიუჯეტზე და ფინანსდება განათლების სამინისტროს მიერ.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებას, რომელსაც აქვს თავისი ხარჯთაღრიცხვა. კაბინეტის კრედიტის განმკარგულებელია დირექტორი.

§ 15

რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინება კაბინეტის თანამშრომელთა ხელფასი და მივ-

ლინებები, კაბინეტის მოწყობა, მისი ინვენტარით შევსება, სემინარების ჩატარება, ბიბლიოთეკისათვის ლიტერატურის შეძენა, მეთოდური წერილების, ბროშურების, სახელმძღვანელოებისა და სხვათა თარგმნა-შედგენა, გამოქვეყნება და ადგილებისათვის მათი დაგზავნა.

§ 16

რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი, სათანადო წარწერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 610

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
5 მარტი, 1955 წ.

ასაკგადაცილებულ მოსწავლეთათვის ცალკე კლასების გახსნის შესახებ.

რესპუბლიკის დაწყებითს, რვაწლიანსა და საშუალო სკოლებში საგრძნობი რაოდენობით არიან ამათუიმ კლასისათვის 3 და მეტი წლით ასაკგადაცილებული მოსწავლეები. მარტო ქ. თბილისის სკოლებში ასეთებია I კლასებში 96, II კლასებში 199, III კლასებში 271, IV კლასებში 257, V კლასებში 70 და VI კლასებში 68, სულ 961 მოსწავლე. მოცემული კლასისათვის ასაკით საგრძნობლად შეუფერებელი მოსწავლეები უარყოფით გავლენას ახდენენ უმცროს ამხანაგებზე, ნერგავენ მათთვის შეუფერებელ ჩვევებს და აფერხებენ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენების საქმეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) აღრიცხონ 1955 წლის 15 აპრილის მდგომარეობით I—VIII კლასებისათვის 3 და მეტი წლით ასაკგადაცილებული მოსწავლეები და დაგეგმონ ახალი სასწავლო წლიდან მათთვის ცალკე კლასების გახსნა მასობრივ სკოლებთან არა ნაკლებ 25 მოსწავლისათვის თითოეულ კლასში;

ბ) ა/წლის 25 აპრილისათვის წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი კლასების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გახსნაა საჭირო, რამდენი მოსწავლისათვის და რომელ სკოლასთან;

გ) პედაგოგიური კოლექტივებისა და მშრომელთა აქტივის საშუალებით ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა V—VIII კლასების ასაკვადაცილებულ მოსწავლეთა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკულ საქმიანობაში ჩასაბმელად და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მოსაწყობად.

2. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ უზრუნველჰყოს 1955—56 სასწავლო წლისათვის ამ დანიშნულების კლასების დაფინანსება სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 4 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიგლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 662

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 14 მარტი

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში

აღვნიშნავ, რომ ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების ზოგიერთ სკოლაში დამაკმაყოფილებლად ხორციელდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლება. განათლების განყოფილებებისა და სკოლების დირექტორების მიერ მიღებული ზომების შედეგად სკოლებში დაბრუნებულ იქნა სწავლებაში ჩაუბმელი და განთესილი სასკოლო ასაკის ბევრი ბავშვი და მოზარდი. ამ მხრივ კარგად მუშაობენ ზუგდიდის II, ცაიშისა და წალენჯიხის საშუალო და ურთის რვაწლიანი სკოლები.

მიუხედავად ამისა, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

არ არის შესრულებული მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმა. 1954/55 სასწავლო წლის დასაწყისში ზუგდიდის რაიონის სკოლებში გეგმით სწავლებაში ჩაბმული უნდა ყოფილიყო 17200 ბავშვი და მოზარდი, ფაქტიურად კი 1954 წლის 5 სექტემბრისათვის სკოლებში ირიცხებოდა 16632 მოსწავლე (96,7%); წალენჯიხის რაიონის სკოლებში გეგმით გათვალისწინებული 5770 მოსწავლის ნაცვლად ირიცხებოდა 5576 მოსწავლე (96,6%). მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმის შეუსრულებლობის საქმეში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა V—VIII კლასებში.

სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა რაოდენობის შესახებ განათლების განყოფილებების მიერ განათლების სამინისტროში წარმოდგენილი ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება. ცნობების მიხედვით მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისათვის ზუგდიდის რაიონში არასაპატიო მიზეზით სწავლებაში ჩაუბმელი იყო 7—15 წლის ასაკის 15 ბავშვი და მოზარდი, წალენჯიხის რაიონის სკოლებში—26, მაშინ, როდესაც ზუგდიდის რაიონის მხოლოდ სამი სასოფლო საბჭოდან სწავლებაში ჩაუბმელი და განთესილი აღმოჩნდა სკოლის ასაკის 20, ხოლო წალენჯიხის რაიონის სამ სასოფლო საბჭოდან—34 ბავშვი.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის, ჯვარის და ზუგდიდის რაიონის კორცხელისა და დარჩელის საშუალო სკოლებში.

წალენჯიხის საშუალო სკოლის მიკრორაიონში სკოლის გარეთ არის 14 ბავშვი და მოზარდი. ჯვარის სასოფლო საბჭოში სკოლის გარეთ არის 13 ბავშვი. ამათგან 11 მარტო ჯვარის საშუალო სკოლის მიკრორაიონიდანაა. სკოლას (დირექტორი ა. ცხადაია) არ მოეპოვება ცნობები სხვა სკოლაში გადასულ მოსწავლეთა შესახებ. დარღვეულია ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში მოსწავლეთა გადასვლის წესი.

ზუგდიდის რაიონის კორცხელის სასოფლო საბჭოში სკოლის გარეთ არის 7—15 წლის ასაკის 10-ზე მეტი ბავშვი, ამათგან 7 მარტო კორცხელის საშუალო სკოლიდან არის განთესილი. გარდა ამისა, ამ სკოლის მიკრორაიონში მრავლად არიან ისეთი ბავშვები, რომლებიც ვითომდა ავადმყოფობის გამო არ არიან სწავლებაში ჩაბმულნი, მაგრამ მათი ავადმყოფობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი არც სკოლას და არც სასოფლო საბჭოს არ გააჩნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარჩელის საშუალო სკოლის მიკრორაიონში (დირექტორი ბ. ჩახაია) სკოლის გარეთ არის 5 ბავშვი.

სკოლებს არ აქვთ სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული მოსწავლეთა კონტინგენტის ერთიანი სია. სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ფაქტიური აღწერის მასალები არ არის შედარებული სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნების ჩანაწერებთან და სკოლებში ფაქტიურად ჩაბმულ მოსწავალეთა სიებთან; ამის გამო განათლების განყოფილებებსა და სკოლებს არ მოეპოვებათ სწავლებაში ჩაუბმელ და განთეული ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი სახელობითი სია.

სკოლის დირექტორები საჭირო ზომებს არ ღებულობენ იმ მშობლების მიმართ, რომლებიც რეგულარულად არ ატარებენ ბავშვებს სკოლებში. სათანადოდ არ იბრძვიან მოსწავლეთა მიერ მეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის წინააღმდეგ (ჯვარისა და კორცხელის საშუალო სკოლები), არ არის მოწესრიგებული მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა.

ავადმყოფობის გამო მოსწავლეთა სკოლიდან გასვლა სათანადო ბრძანებით არ ფორმდება.

ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს კლასის ხელმძღვანელების მიერ საკლასო ჟურნალიდან მოსწავლეთა ამორიცხვას დირექტორის ბრძანების გარეშე. ასე, მაგალითად, დარჩელის საშუალო სკოლაში კლასის ხელმძღვანელმა ზ. კონჯარიამ შემოწმებისა და დირექტორის ბრძანების გარეშე საკლასო ჟურნალიდან ამორიცხა მოსწავლე იგორ კალანდია. მესამე მეოთხედში ეს მოსწავლე სკოლაში დააბრუნეს, მაგრამ სიაში არ შეუტანიათ. შემოწმების დღეს საკლასო ჟურნალში არ აღმოჩნდნენ სიიდან ასევე თვითნებურად ამოღებული და შემდეგ სკოლაში დაბრუნებული V კლასის მოსწავლეები რადიონ სიჭინავა და ჯემალ ხუბუა.

დღის მასობრივი სკოლიდან სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში მოსწავლის გადაყვანისას ზოგჯერ დანაშაულებრივ მოქმედებასაც აქვს ადგილი. წალენჯიხის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა ვ. ჩიქობავამ 1953 წელს უკანონოდ დაუშვა გამოცდებზე და VII კლასში ჩარიცხა წალენჯი-

ხის საშუალო სკოლის ყოფილი მოსწავლე გ. ჩაჩავა, რომელიც ქართულ ენაში საშემოდგომო გამოცდების ჩაუბარებლობის გამო VI კლასში იყო დატოვებული.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) 15 მარტამდე დააზუსტონ სწავლებაში ჩაუბმელი და განთესილი ბავშვებისა და მოზარდების რაოდენობა და III მეოთხედის ბოლომდე დააბრუნონ სკოლებში II და III მეოთხედებში განთესილი ბავშვები;

ბ) „სასკოლო ასაკის (7—17 წლის) ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ" საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად ჩაატარონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა მ/წ. 15 აპრილის მდგომარეობის მიხედვით. აღწერის მასალები შეადარონ სასოფლო საბჭოების საკომლო წიგნების ჩანაწერებს და სკოლებში ფაქტიურად ჩაბმულ მოსწავლეთა სიებს. შეადგინონ სწავლებაში ჩაუბმელ და განთესილ ბავშვთა და მოზარდთა სახელობითი სიები და უზრუნველყონ 1955/56 სასწავლო წელს ამ ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ჩაბმა;

გ) იქონიონ მოსწავლეთა კონტინგენტის ერთიანი სია, დამტკიცებული სასოფლო საბჭოს მიერ;

დ) დადგენილი წესის მიხედვით აწარმოონ მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა. ავადმყოფობის გამო სკოლიდან დროებით გასული მოსწავლეები ბრძანებით ამორიცხონ სასკოლო ჟურნალიდან და მიიღონ ზომები გამოჯანმრთელების შემთხვევაში ახალი სასწავლო წლიდან ასეთი მოსწავლეების სკოლებში დასაბრუნებლად;

ე) სათანადო ორგანიზაციების წინაშე დასვან საკითხი იმ მშობლების შესახებ, რომლებიც თავიანთ შვილებს არ ატარებენ სკოლაში;

ვ) გადამჭრელი ზომები მიიღონ მოსწავლეთა მიერ მეცა-

დინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის წინააღმდეგ და ამ საქმეში ზუსტად იხელმძღვანელონ განათლების მინისტრის 1953 წლის 27 ოქტომბრის № 4376 ბრძანებით;

ზ) არ დაუშვან ასაკგადაცილებულობის გამო მოსწავლეთა სკოლიდან გარიცხვა, კლასის ხელმძღვანელების მიერ საკლასო ჟურნალიდან მოსწავლეთა თვითნებურად ამორიცხვა. მასწავლებლებისა და მშობელთა აქტივის საშუალებით ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა V—VIII კლასების ასაკგადაცილებულ მოსწავლეთა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკულ საქმიანობაში ჩასაბმელად და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მოსაწყობად.

2. ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში;

ბ) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პირადად შეამოწმონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ჩაბმის შესახებ სკოლების მიერ წარმოდგენილი ცნობების სისწორე და სასჯელი დაადონ სკოლების იმ დირექტორებს, რომლებიც არასწორ ცნობებს წარმოადგენენ განათლების განყოფილებაში;

გ) ასაკგადაცილებულ მოსწავლეთა სკოლებში მოწყობის მიზნით შეისწავლონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების გახსნის საჭიროება და მოთხოვნილება წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს.

3. აღინიშნოს, რომ წალენჯიხის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა ვლ. ჩიქობავამ მოსწავლე გ. ჩაჩავას სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VII კლასში ჩარიცხვით ჩაიდინა მძიმე დანაშაული, რის გამო ის ღირსია მკაცრი სასჯელისა, მაგრამ მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ ეს შეცდომა მან დაუშვა გამოუცდელობით, დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის პირველ დღეებშივე, რისთვისაც მას მიეთითოს.

4. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებაზე სათანადო ხელმძღვანელობისა და კონტროლის განუხორციელებლობისათვის წალენჯიხის რაიონის ჯვარის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ცხადაიას და ზუგდიდის რაიონის კორცხელის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. მესხიას მიეთითოთ.

საფუძველი: განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 4 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 673

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 15 მარტი

მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამოკვლევის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ შესწავლილ სკოლებს მოპოვებული აქვთ ერთგვარი წარმატებები.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: პ. იობიშვილი, ტ. თოხაძე (მახარაძის პირველი საშ. სკ.), ა. თალაკვაძე (ნაგომრის საშ. სკ.), მ. იმნაძე და თ. ლომაძე (ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის საშ. სკ.), ფიზიკის მასწავლებლები: გ. კალანდარიშვილი (მახარაძის პირველი საშ. სკოლა) და ა. ტუღუში (ლანჩხუთის რაიონის შუხუთის საშ. სკოლა).

მაგრამ მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების ზოგიერთი სკოლის მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ლანჩხუთის რაიონის აგარაკის რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწვლებელი ვ. ებრალიძე. იგი არ ზრუნავს თავისი კვალიფიკაციისა და პედაგოგიურ-მეთოდური მომზადების დონის ამაღლებისათვის, უპასუხისმგებლოდ ასწორებს მოს-

წავლეთა წერით ნაშრომებს. არადამაკმაყოფილებლად მუ-შაობენ ლანჩხუთის პირველი საშუალო და მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის რვაწლიანი სკოლების I და III კლასების ქართული ენის მასწავლებლები ა. ებრალიძე და გ. რაზმაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადო სიმაღლეზე არ დგას არითმეტიკის სწავლება დაწყებით კლასებში. მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის რვაწლიანი სკოლის III კლასის მოსწავლეებს (მასწ. გ. რაზმაძე) ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სიგრძისა და წონის საზომ ერთეულებზე, არ იციან 10-ზე და მრგვალ ათეულებზე გამრავლება. ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ა. კობახიძე) ვერ შესძლეს ოთახის და მიწის ნაკვეთის ფართობის გამოანგარიშება. მასწავლებელი მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებს. ლანჩხუთის რაიონის აგარაკის რვაწლიანი სკოლის V კლასში მასწ. ო. წილოსანი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამოცანებზე ვარჯიშს.

დაბალია ლანჩხუთის მოზრდილთა საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეთა (მასწ. ა. წილოსანი) მომზადების დონე ალგებრასა და ტრიგონომეტრიაში. მოსწავლეებმა არ იციან ნულოვანი, უარყოფითი და წილად მაჩვენებლიანი ხარისხები, მათზე მოქმედებები, და ძირითადი ფორმულები ტრიგონომეტრიიდან. XI კლ. საკონტროლო წერის შედეგად ალგებრაში 16 მოსწავლიდან შეფასება „2“ მიიღო 12 მოსწავლემ. ასევე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ტრიგონომეტრიაში მახარაძის მოზრდილთა საშუალო სკოლის X კლასში. მასწ. რ. ქინქლაძე მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებს. მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის რვაწლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლეთა (მასწ. ა. ინწკირველი) მომზადების დონე გეომეტრიაში დაბალია. ამ სკოლის მათემატიკის მეორე მასწ. თ. თენეიშვილი საკონტროლო წერის რვეულებში მოსწავლეების მიერ დაშვებულ შეცდომებს გულდასმით არ ასწორებს და ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებს.

არანორმალურია ის გარემოება, რომ ვაკიჯვრის რვაწლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აინი სკოლის VII კლასში ალგებრას ერთი მასწავლებელი ასწავლის, ხოლო გეომეტრიას მეორე.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ფიზიკის სწავლება მახარაძის რაიონის ნაგომრის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი თ. მელუა არ არის დაუფლებული საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს. მან ბუნდოვნად გადასცა XI კლასში მასალა მაიკელსონის მეთოდით სინათლის გავრცელების სიჩქარის განსაზღვრაზე. მასწავლებელი ნაკლებად იყენებს თვალსაჩინოებას, არ ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ ლაბარატორიულ სამუშაოებს, არ ზრუნავს კაბინეტის მოწყობისათვის.

შემოქმედის საშუალო სკოლაში (მასწ. თ. ჭანუყვაძე) ხელსაწყო-იარაღები აღურიცხავი, მოუვლელობისაგან დაზიანებული და თვალსაჩინოებისათვის გამოუყენებელია. ურეკის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი ღარიბია. მასწ. ვ. ნუცუბიძეს უჭირს მუშაობა რუსულ სექტორზე იმის გამო, რომ მან სათანადოდ არ იცის რუსული ენა.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქიმიის სწავლება ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლაში (მასწ. ო. მიქანაძე). XI კლასის მოსწავლეებმა არ იციან ქიმიის ძირითადი კანონები და სუსტი წარმოდგენა აქვთ სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელ მინერალურ სასუქებზე.

X კლასის მოსწავლეები ვერ ასხვავებენ კრეკინგს სინთეზისაგან, მათ უჭირთ ნაერთში ცალკეული ელემენტების პროცენტული შედგენილობის განსაზღვრა. ანალოგიური მდგომარეობაა მახარაძის რაიონის ნაგომრის საშუალო სკოლაში (მასწ. პ. ტუღუში).

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბიოლოგიის სწავლება ლანჩხუთის რაიონის ჯურუყვეთის საშუალო სკოლაში (მასწ. გ. კვაჭაძე). მასწავლებელი არ არის დაუფლებული საგნის სწავლების მეთოდებს, არ იყენებს თვალსაჩინოებას, თავს არიდებს პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას.

მახარაძის პირველი და ლანჩხუთის რაიონის ჯურუყვეთის საშუალო სკოლების მასწავლებლები ლ. ნიორაძე და გ. კვაჭა-

ძე ყურადღებას არ აქცევენ ბიოლოგიის კაბინეტების მოწყობა-შევსების საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდად მუშაობენ ნორჩ ნატურალისტთა წრეები მახარაძის რაიონის ნაგომრის საშუალო და ლანჩხუთის რაიონის მამათის რვაწლიან სკოლებში.

არ უვლიან და სწავლების პროცესში სათანადოდ არ იყენებენ სასწავლო-საცდელ ნაკვეთებს ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო (მასწ. გ. ჭანტურია) და მახარაძის რაიონის მთისპირის რვაწლიან (მასწ. ა. სურგულაძე) სკოლებში.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში არადამაკმაყოფილებელია შინასასკოლო კონტროლი. დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები სისტემატურად არ ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე (ვაკიჯვრის რვაწლიანი სკოლა — დირექტორი დ. მდინარაძე, ჩიბათის საშ. სკოლის დირექტორი კ. ზენეიშვილი).

პედაგოგიური საბჭოს სხდომების მიერ მიღებული ზოგიერთი დადგენილება არაკონკრეტულია, ოქმებში გვხვდება ენობრივი ხასიათის უხეში შეცდომები (მახარაძის რაიონის ნაგომრის, ლანჩხუთის მოზრდილთა საშუალო და აგარაკის რვაწლიანი სკოლები).

მოუწესრიგებელია მასწავლებელთა პირადი საქმეები მახარაძის რაიონის ნაგომრის, ქ. მახარაძის პირველ საშუალო, ვაკიჯვრის რვაწლიან და ლანჩხუთის I საშუალო სკოლებში.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოსწავლეთა საგნობრივი წრეების მუშაობა ლანჩხუთის რაიონის მამათის, ჩიბათის, მახარაძის რაიონის ნაგომრის საშუალო და ვაკიჯვრის რვაწლიან სკოლებში.

განსაკუთრებით დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება მახარაძის რაიონის ნაგომრის საშუალო სკოლის VIII და IX, მახარაძის პირველი საშუალო სკოლის X და XI, ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლის VI და VIII, ლანჩხუთის I საშუალო სკოლის VI და XI და აგარაკის რვაწლიანი სკოლის V და VII კლასებში.

აგრეთვე დაბალია მეორეწლიან მოსწავლეთა წარმატება ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის საშუალო და აგარაკის რვაწლიან სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგ სკოლაში კომკავშირელები და პიონერები არ ასრულებენ ავანგარდულ როლს სწავლისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში (ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის, ჩიბათის და მახარაძის პირველი საშუალო სკოლები.)

სკოლების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეს. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლას ჩამოშორდა 5, მახარაძის რაიონის ნაგომრის საშულო სკოლას—15, მახარაძის პირველ საშუალო სკოლას—4 და ვაკიჯვრის 8 წლიან სკოლას—4 მოსწავლე.

დიდია საპატიო მიზეზის გარეშე გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის, ლანჩხუთის, ჩიბათის საშუალო და მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის რვაწლიან სკოლებში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების ხელმძღვანელებმა:

ა) სწავლების არსებითად გასაუმჯობესებლად გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე;

ბ) უზრუნველყონ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიების შევსება და სწავლების პროცესში თვალსაჩინოების სათანადოდ გამოყენება;

გ) ქმედითი დახმარება გაუწიონ კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციებს და მიაღწიონ, რომ ისინი ნამდვილად უწყობდნენ ხელს მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და წარმატების ამაღლების საქმეს;

დ) გადაჭრით გაუმჯობესონ მოსწავლეთა საგნობრივი წრეების მუშაობა;

ე) მიაღწიონ სასწავლო-საცდელი ნაკვეთების სწავლების პროცესში რაციონალურად გამოყენებას;

3) წესრიგში მოიყვანონ მასწავლებელთა პირადი საქმეები.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ხ. ხავთასი, გ. ჩხაიძე).

ა) გააძლიერონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, სკოლის მუშაობის შესწავლის შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსებითად გასაუმჯობესებლად;

ბ) აღკვეთონ გაკვეთილების დაქუცმაცების მავნე პრაქტიკა.

3. სასწავლო კაბინეტების მოუვლელობისათვის მიეთითოთ: თ. ჭანუყვაძეს (მახარაძის რაიონის შემოქმედის საშუალო სკოლა), ლ. ნიორაძეს (მახარაძის I-ლი საშუალო სკოლა), გ. კვაჭაძეს (ლანჩხუთის რაიონის ჯურუყვეთის საშუალო სკოლა).

4. საგნის სწავლების არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადებისათვის მიეთითოთ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ვ. ებრალიძეს (ლანჩხუთის რაიონის აგარაკის რვაწლიანი სკოლა), ვ. რაზმაძეს (მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის რვაწლიანი სკოლა), მათემატიკის მასწავლებლებს ა. წილოსანს (ლანჩხუთის მოზრდილთა საშუალო სკოლა), რ. ქინქლაძეს (მახარაძის მოზრდილთა საშუალო სკოლა), ა. ინწკირველს (მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის რვაწლიანი სკოლა), ქიმიის მასწავლებელს ო. მიქანაძეს (ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლა) და ფიზიკის მასწავლებელს თ. მელუას (მახარაძის რაიონის ნაგომარის საშუალო სკოლა).

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 679

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 17 მარტი

გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ.

გავეცანი რა გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონების სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამოკვლევის მასალებს, აღვნიშნავ, რომ ბევრი მასწავლებელი კეთილსინდისიერად და ნაყოფიერად მუშაობს. ასეთებია: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები — ეკ. ბაწაშვილი, მ. მულალაშვილი (გურჯაანის საშ. სკოლა), მ. კოკროშვილი (კარდანახის საშ. სკოლა), მ. ცისკარიშვილი (სოფ. გურჯაანის საშ. სკოლა), ნ. ცაგარეიშვლი, ნ. ასათიანი (საგარეჯოს საშ. სკოლა), მ. მეიფარიანი, ნ. რევაზოვი (საგარეჯოს რვაწლიანი სკოლა); ისტორიის მასწავლებლები — ა. ზარნაძე, ვ. ბაკაშვილი (სოფ. გურჯაანის საშ. სკოლა), ა. ტულუში (მანავის საშ. სკოლა), ვ. გობეჯიშვილი (საგარეჯოს საშ. სკოლა); გეოგრაფიის მასწავლებლები — მ. მარტიაშვილი კარდანახის საშ. სკოლა), ე. ხაბეიშვილი (საგარეჯოს რვაწლიანი სკოლა); ბიოლოგიის მასწავლებელი ე. გოდერძიშვილი (საგარეჯოს საშ. სკოლა).

მაგრამ ზოგიერთი სკოლისა და მასწავლებლის მუშაობა არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება.

არადამაკმაყოფილებელია 1954 — 55 სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები. გურჯაანის რაიონის შაშიანის

საშუალო სკოლის 631 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 139 (22 %), საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის რვაწლიანი სკოლის 295 მოსწავლიდან 77 (27 %), საგარეჯოს რვაწლიანი სკოლის 331 მოსწავლიდან — 85 (26 %), მუღანლოს რვაწლიანი სკოლის 165 მოსწავლიდან —53 (32 %).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა ნაწილი არაა დაუფლებული პროგრამულ მასალას ქართულ ენასა და ლიტერატურაში სოფ. გურჯაანის, შაშიანის, კარდანახის, მანავის საშუალო, ნინოწმინდის და საგარეჯოს რვაწლიან სკოლებში (მასწ. გ. ჯორჯაძე, ა. იმერლიშვილი, ტ. არაქელოვი, ა. ფირანიშვილი, დ. ჭანტურიძე, ე. დარჩიაშვილი, რ. საბაშვილი, კ. ასათიანი, ა. ნარიმანიშვილი ე. შიოშვილი).

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ისტორია საგარეჯოს რვაწლიანი და მანავის საშუალო სკოლების IV, კარდანახის საშუალო სკოლს VI და IX კლასებში (მასწავლებლები ე. შიოშვილი, ე. დუჩიძე, ე. ნარეკლიშვილი, გ. ღვდლიაშვილი).

სუსტად არის დაყენებული კონსტიტუციის სწავლება კარდანახის საშუალო და ნინოწმინდის რვაწლიან სკოლებში (მასწ. გ. ღვდლიაშვილი ე. ხამხაძე):

გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონის სკოლებში არ არის შექმნილი სათანადო პირობები პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებისათვის, მოუვლელია სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, სკოლებს არა აქვთ საკმაო რაოდენობით სამეურნეო ინვენტარი და სხვ.

დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ბიოლოგიაში შაშიანის და სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლების VI კლ. მოსწავლეებმა (მასწ. ნ. ბეჟანიშვილი, ზ. იაკობიშვილი).

ზოგ სკოლაში გეოგრაფია ზეპირსიტყვიერად ისწავლება (საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის რვაწლიანი და გურჯაანის საშუალო სკოლები).

პროგრამული მასალის დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს არითმეტიკაში ნინოწმინდის რვაწლიანი და მანავის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა (მასწავლებლები — გ. ბუღაშვილი, ა. ერბონაშვილი, კურცხალია, ღურწკიძე).

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული შინაგანი სასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. ზოგიერთი დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე იშვიათად ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე, არ ეხმარება დამწყებ მასწავლებლებს (შაშიანის, სოფ. გურჯაანის, მანავის საშუალო, ნინოწმინდის რვაწლიანი სკოლები).

ზოგიერთ სკოლაში პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ არის განხილული საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანება ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებული ზოგიერთი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის შესახებ, ოქმებში დაშვებულია ენობრივი შეცდომები, არ ხდება მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმება (კარდანახის, გურჯაანის საშუალო, ნინოწმინდის რვაწლიანი სკოლები).

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებას. ნინოწმინდის რვაწლიანი სკოლიდან განთესილია 8, მანავის საშუალო სოკლიდან 5, სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლიდან 3 და ქ. გურჯაანის საშუალო სკოლიდან 4 მოსწავლე.

სასწავლო წლის პირველ ნახევარში საგარეჯოს რაიონის სკოლებს ჩამოცილდა სასკოლო ასაკის 78 ბავშვი და მოზარდი.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა, ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილებიდან გაპარვის, დაგვიანებისა და გაცდენის შემთხვევებს (შაშიანის, კარდანახის და მანავის საშუალო სკოლები); გურჯაანის რაიონის სკოლებიდან დისციპლინის დარღვევისათვის გარიცხულია 12 მოსწავლე, მათ შორის 5 მარტო შაშიანის საშუალო სკოლიდანაა გარიცხული.

შესწავლილ სკოლებში დღემდე არ ჩატარებულა მოსწავლეთა და მასწავლებელთა სამედიცინო შემოწმება.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე სათნადოდ არ ხელმძღვანელობს სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობას, მთელი რიგი კომკავშირელები და პიონერები ვერ იძლევიან მაგალითს მაღალი წარმატებისა და შეგნებული დისციპლინისათვის

ბრძოლის საქმეში. სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით საგარეჯოს რაიონის 2398 პიონერიდან ვერ ასწრებდა 658 (27,5%).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად დგას კლასგარეშე კითხვის საქმე. სასკოლო ბიბლიოთეკები არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ბინით (მანავის, შაშიანის საშუალო და ნინოწმინდის რვაწლიანი სკოლები).

მეთოდურად გაუმართლებლად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი სოფ. გურჯაანის, შაშიანის საშუალო და ნინოწმინდის რვაწლიან სკოლებში.

სათანადო ყურადღება არ ექცევა შენობათა სისუფთავესა და მოსწავლეთა პირად ჰიგიენას, სასკოლო შენობებში ჰაერის გაწმენდას, სველი წესით დაგვა-დასუფთავებასა და ეზოების გამწვანებას.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება განათლების განყოფილებების მუშაობა (გამგეები შ. გაბიტაშვილი, ი. ბედიაშვილი). სწორად არ არის დაკომპლექტებული სახალხო განათლების საბჭო საგარეჯოს რაიონში. მას დღემდე მუშაობაც არ დაუწყია. არ ხორციელდება საჭირო კონტროლი და ხელმძღვანელობა სკოლებში მოსწავლეთა და მსწავლებელთა სამედიცინო შემოწმებაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონების განათლების განყოფილებებმა (შ. გაბიტაშვილი, ი. ბედიაშვილი):

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი;

ბ) ზუსტად იხელმძღვანელონ სახალხო განათლების საბჭოს დებულებით, მის შესაბამისად დააკომპლექტონ საბჭოები და გააუმჯობესონ მათი მუშაობა;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად, დახმარება გაუწიონ სკოლებს კაბინეტების ხელსაწყო-იარაღებით შევსების საქმეში;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ ბრძანებაში

[illegible]

აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებსა და სკოლის ხელმძღვანელებს, აღმოუჩინონ მათ ქმედითი დახმარება, ხოლო იმ მუშაკების შესახებ, რომლებიც ვერ გარდაქმნიან მუშაობას, ახალი სასწავლო წლისათვის წარმოადგინონ პროექტი სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ;

ე) უზრუნველჰყონ მასწავლებელთა და მოსამსახურე პერსონალის სამედიცინო შემოწმება და ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ განათლების სამინისტროს სათანადო ბრძანების შესრულება;

ვ) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი სასკოლო ბიბლიოთეკების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად და წიგნადი ფონდის გასადიდებლად.

2. სკოლების ხელმძღვანელებმა:

ა) დააზუსტონ სკოლის გარეთ დარჩენილი 7—15 წლის ასაკის ბავშვთა რაოდენობა და მომავალი სასწავლო წლისათვის უზრუნველჰყონ მათი მთლიანად ჩაბმა სწავლებაში;

ბ) ქმედითი დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს, სისტემატურად დაესწრონ გაკვეთილებზე და სწავლების გასაუმჯობესებლად დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი;

გ) საჭირო ზომები მიიღონ ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტების მოწყობა-შევსებისათვის და უზრუნველყონ სწავლების პროცესში მათი სათანადო გამოყენება;

დ) მოკლე ვადაში მიაღწიონ იმას, რომ არცერთი სკოლა არ დარჩეს სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გარეშე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნაკვეთების მოვლა-გამოყენების საქმეს, უზრუნველჰყონ ისინი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, სათესლე მასალით და შხამ-ქიმიკატებით, იზრუნონ სკოლებთან სახელოსნოების მოწყობისა და ხელგარჯილობის სწავლების პირობების გაუმჯობესებისათვის;

ე) არ დატოვონ სათანადო რეაგირების გარეშე მოსწავლის წარუმატებლობის ან შეუფერებელი ქცევის არც ერთი შემთხვევა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ამ მხრივ მდგომარეობის არსებითად გასაუმჯობესებლად;

ვ) ზუსტად დაიცვან სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმი; უზრუნველჰყონ მოსწავლეებში პირადი ჰიგიენური ჩვევების დანერგვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა კომკავშირისა და პიონერული ორგანიზაციებისადმი, უზრუნველჰყონ კომკავშირული კრებებისა და პიონერულ შეკრებათა მომზადებულად ჩატარება.

3. მასწავლებლებმა:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ სწავლებაში ფორმალიზმისა და ზერელობის აღმოსაფხვრელად, ზუსტად დაიცვან წერითი სამუშაოების ნორმები, სახეები და გასწორების წესები; უზრუნველჰყონ მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლება;

ბ) მტკიცედ იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს ბრძანებებითა და მითითებებით; სწავლების საქმე დაუკავშირონ ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკას.

4. საგნის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაუყენებლობისათვის მიეთითოთ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს — დ. ჭანტურიძეს (შაშიანის საშ. სკოლა), ე. დარჩიაშვილს (კარდანახის საშ. სკოლა), კ. ასათიანს (მანავის საშუალო სკოლა), ა. იმერლიშვილს (სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლა), ბიოლოგიის მასწავლებელს ზ. იაკობიშვილს (სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლა), ისტორიის მასწავლებლებს — დ. ჭანტურიძეს (შაშიანის საშ. სკოლა), გ. ღვდლიაშვილს (კარდანახის საშუალო სკოლა); არითმეტიკის მასწავლებელს გ. ბუღაშვილს (ნინოწმინდის რვაწლიანი სკოლა).

5. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს ნინოწმინდის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ე. ხამხაძეს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წ. 4 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **ბ. ჯიბლაძე**

უფასო

9.11/168

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი პ. გუნიავა

2

გადაეცა წარმოებას 6/III-55 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IV-55წ.
ანაწყობის ზომა 5,5×9, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა
რაოდენობა 3,75.

უე 03560. ტირაჟი 5.000. შეკვეთა 423.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და
პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издателств и полиграфической промышленности Министерство культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.